დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის წევრი სახელმწიფოების მეთაურთა საბჭოს **<u>გადაწყვეტილება</u> აფხაზეთის (საქართველოს) კონფლიქტის ზონაში მშვიდობის მხარდამჭერი ოპერაციის განვითარების შესახებ**

დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის ქვეყნების მეთაურთა საბჭომ,

აღნიშნავს რა, თუ რა მნიშვნელოვანი როლი ეკისრებათ კონფლიქტის ზონაში მშვიდობის მხარდამჭერ კოლექტიურ ძალებსა და გაერთიანებული ერების ორგანიზაციის საქართველოში მეთვალყურეობის მისიას ვითარების სტაბილიზაციაში, ლტოლვილთა უსაფრთხოების უზრუნველყოფის პირობების შექმნასა და კონფლიქტის რაც შეიძლება მალე მოწესრიგებისათვის ხელის შეწყობაში, გადაწყვიტა:

1. გააგრძელოს მხარეთა თხოვნით მშვიდობის მხარდამჭერი კოლექტიური ძალების ყოფნა აფხაზეთის (საქართველო) კონფლიქტის ზონაში 1997 წლის 31 ივლისამდე ან იმ დრომდე, სანამ კონფლიქტის მონაწილე ერთ-ერთი მხარე მოითხოვდეს ოპერაციის შეწყვეტას.

2. იმ მიზნით, რომ შემდგომ განვითარდეს მშვიდობის მხარდამჭერი ოპერაციები, უფრო სრულად შესრულდეს კოლექტიური ძალების მანდატითა და გალის რაიონში (ძველ საზღვრებში) ლტოლვილთა უსაფრთხოების უზრუნველყოფის პირობების შექმნის შესახებ დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის სახელმწიფოთა მეთაურების საბჭოს 1996 წლის 17 ოქტომბრის გადაწყვეტილებებში ჩამოყალიბებული დამატებებით გათვალისწინებული ამოცანები, საჭიროდ ჩაითვალოს გაფართოვდეს 1994 წლის 14 მაისის ცეცხლის შეწყვეტის და ძალთა დაშორიშორების შესახებ შეთანხმებით გათვალისწინებული უსაფრთხოების შესაბამისი ზონა.

მშვიდობის მხარდამჭერი კოლექტიური ძალების სარდლობამ მხარეებთან ურთიერთმოქმედებით ერთი თვის ვადაში შეიმუშაოს კოლექტიური ძალების ხელახალი დისლოკაციის გეგმა და სხვა ღონისძიებანი, რომლებიც დაკავშირებული იქნება აღნიშნულ რაიონში ლტოლვილთა და ადგილნაცვალ პირთა ორგანიზებულ დაბრუნებასთან.

3. მშვიდობის მხარდამჭერი კოლექტიური ძალების სარდლობამ შემუშავებული გეგმის თანახმად განახორციელოს კონფლიქტის ზონაში კოლექტიური ძალების მართვის სისტემის სრულყოფის, მშვიდობის მხარდამჭერი კოლექტიური ძალების ქვეგანაყოფების დისლოკაციის ადგილებთან გაერთიანებული შტაბის მიახლოების, აგრეთვე მათი შტაბების მუშაობის კოორდინაციის გაუმჯობესების ღონისძიებანი.

მოწონებულ იქნეს რუსეთის ფედერაციის წინადადებანი მშვიდობის მხარდამჭერი კოლექტიური ძალების პირადი შემადგენლობის განმტკიცების შესახებ იმ გზით, რომ ამჟამად გამოყენებული ქვეგანაყოფები შეიცვალოს სამშვიდობო ფუნქციებისათვის სპეციალურად მომზადებული ქვეგანაყოფებით.

4. თანამეგობრობის მონაწილე სახელმწიფოთა თავდაცვის მინისტრების საბჭომ გამოძებნოს შესაძლებლობანი, რათა თანამეგობრობის მონაწილე სახელმწიფოთა სპეციალისტებმა მშვიდობის მხარდამჭერი კოლექტიური ძალების შემადგენლობაში აწარმოონ დანაღმული ველების მონიშვნა და განაღმვა აფხაზეთში (საქართველო). ამასთან დაკავშირებით ეთხოვოს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სამდივნოს ფინანსური დახმარება გასწიოს ამ ამოცანის შესრულებაში.

5. დაევალოს თანამეგობრობის მონაწილე სახელმწიფოთა საგარეო საქმეთა მინისტრების საბჭოსა და მონაწილე სახელმწიფოთა თავდაცვის მინისტრების საბჭოს დაინტერესებულ მხარეებთან ერთად გასწიონ შესაბამისი მუშაობა, რათა საჭირო დამატებები იქნას შეტანილი მშვიდობის მხარდამჭერი კოლექტიური ძალების მანდატში კონფლიქტის ზონაში ვითარების შეცვლის გათვალისწინებით და წარმოადგინონ ისინი სამუშაო წესით თანამეგობრობის სახელმწიფოთა მეთაურების საბჭოს განსახილველად.

6. რუსეთის ფედერაციის საგარეო საქმეთა სამინისტრომ გააცნოს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭოს თანამეგობრობის სახელმწიფოთა მეთაურების საბჭოს ეს გადაწყვეტილება.

ეს გადაწყვეტილება ძალაში შედის მისი ხელმოწერის დღიდან.

ხელმოწერილია ქალაქ მოსკოვში **1997 წლის 28 მარტს** ერთი დედნის ეგზემპლარით რუსულ ენაზე...

ხელმოწერილია დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის ქვეყნების
პრეზიდენტთა მიერ.

გადაწყვეტილებას ხელი არ მოაწერეს ბელარუსის რესპუბლიკამ, მოლდოვას რესპუბლიკამ, თურქმენეთმა და უკრაინამ.

(გაზეთი "საქართველოს რესპუბლიკა", # 73, 1997 წლის 30 მარტი)